ოქმი:**ო12.37221401**

თარიღი:**20/05/2022**

ოქმი № 10

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 18 მაისი

ქ.ოზურგეთი

16.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები : მ. ჩხიკვიშვილი, მ. ვაშალომიძე, ხ. თავდიშვილი, ნ. სარჯველაძე, ნ. ნადირაშვილი, ი. თუთბერიძე, ლ. ხავთასი, დ. მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უსახლკაროების თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: მ. ცელაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მზრუნველობამოკლებულთა ერჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის შესრულების ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: მ. ცელაძე

3. კომისიაში შემოსული წერილის შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა, მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ უსახლკაროთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის პრობლემებზე, ვრცლად ამ საკითხზე კომისიის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა თანამომხსენებელმა მ. ცელაძემ, აღინიშნა, რომ მდგომარეობა თანდათან უარესდება, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ ორივე სოციალურ საცხოვრისში, როგორც სოფელ მერიაში, ასევე, ქ.

ოზურგეთშიც სიტუაცია საგანგაშოა, ოზურგეთის საცხოვრისში უნებართვოდ შეჭრილნი არიან უსახლკარო ბოშები, რომლებიც აზიანებენ მუნიციპალურ ქონებას, რთულდება მდგომარეობა, გართულებულია ოჯახების გამოყვანა, გადასახედია ხელშეკრულების ფორმები, ჩასატარებელია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კვლევები და მონიტორინგი, აუცილებელია სოციალურ სააგენტოსთან კოორდინირებული მუშაობის გზების გამონახვა და სხვა. კომისიის წევრებმა მომხსენებელს დაუსვეს შეკითხვები და მიიღეს შესაბამისი პასუხები. გამოიკვეთა აზრი, რომ ამ სერიოზული პრობლემის გადასაჭრელად, საჭიროა მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელება მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმ,ა კომისიის წევრებს გააცნო „უპოვართა სასადილოში“ არსებული მდგომარეობა, ვრცელი მოხსნება არსებულ სიტუაციაზე გააკეთა თანამომხსენებელმა მ. ცელაძემ, განაცხადა, რომ ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფის მიზნით ამჟამად აღრიცხულია 180 ბენეფიციარი, თითოეულზე გათვალისწინებულია დღეში 2,5 ლარი, რაც არსებული ინფლაციის გამო გადასახედია, შესასწავლია თავად ბენეფიციარების მდგომარეობაც, აკმაყოფილებენ დასაშვებ სოციალურ ქულებს თუ არა, გამოსაცხადებელია ხელახალი ტენდერი და სხვა. კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ აქაც მუნიციპალიტეტის მერიას სერიოზული მუშაობა აქვს გასაწევი. მხარი დაუჭირეს ინფორმაციის ცნობად მიღებას.

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს გააცნო კომისიაში შემოსული წერილი, რომელზეც მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

გადაწყვიტეს:

ორთავე საკითხზე მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციები მიღებულ იქნას ცნობად.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი